უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს

გადაწყვეტილება № 39

2018 წ. "19" 04

ქ.თბილისი

,,შპს ბათუმის უმაღლეს საზღვაო საინჟინრო სასწავლებელ ანრის ავტორიზაციის შესახებ" უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2015 წლის 23 თებერვლის №4 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შუამდგომლობის საფუძველზე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 25-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. ცვლილება განხორციელდეს ,,შპს ბათუმის უმაღლეს საზღვაო საინჟინრო სასწავლებელ ანრის ავტორიზაციის შესახებ" უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2015 წლის 23 თებერვლის №4 გადაწყვეტილებაში და პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

,,1. შპს ბათუმის უმაღლეს საზღვაო საინჟინრო სასწავლებელ ანრის (საიდენტიფიკაციო კოდი: 245539403) 2015 წლის 27 მაისიდან 5 წლის ვადით მიენიჭოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი (კოლეჯი) და სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 840-ით. სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობიდან პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობა განესაზღვროს 400-ით." პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის საფუძველზე შექმნილ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობები გადანაწილდეს შემდეგნაირად:

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია კოდის მითითებით	კრედიტების რაოდენობა	სწავლების ენა	ადგილების ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების მისამართი / მისამართები
1	გემბანის რიგითი მეზღვაური (მატროსი)	მესამე	გემბანის რიგითი მეზღვაურის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 111051	60	ქართული	200	ბათუმი, ანგისის დასახლება, შ. ხიმშიაშვილის ქუჩა №47-ის მიმდებარე ტერიტორია
2	გემბანის რიგითი მეზღვაური (მატროსი) (ინგლისურენოვანი)	მესამე	გემბანის რიგითი მეზღვაურის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 111051	60	ინგლისური	10	ბათუმი, ანგისის დასახლება, შ. ხიმშიაშვილის ქუჩა №47-ის მიმდებარე ტერიტორია
3	გემბანის რიგითი მეზღვაური (მატროსი) (რუსულენოვანი)	მესამე	გემბანის რიგითი მეზღვაურის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 111051	60	რუსული	10	ბათუმი, ანგისის დასახლება, შ. ხიმშიაშვილის ქუჩა №47-ის მიმდებარე ტერიტორია
4	სამანქანე განყოფილების მეზღვაური (მოტორისტი)	მესამე	სამანქანე განყოფილების რიგითი მეზღვაურის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 111052	60	ქართული	160	ბათუმი, ანგისის დასახლება, შ. ხიმშიაშვილის ქუჩა №47-ის მიმდებარე ტერიტორია
5	სამანქანე განყოფილების მეზღვაური (მოტორისტი) (ინგლისურენოვანი)	მესამე	სამანქანე განყოფილების რიგითი მეზღვაურის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 111052	60	ინგლისური	10	ბათუმი, ანგისის დასახლება, შ. ხიმშიაშვილის ქუჩა №47-ის მიმდებარე ტერიტორია
6	სამანქანე განყოფილების მეზღვაური (მოტორისტი) (რუსულენოვანი)	მესამე	სამანქანე განყოფილების რიგითი მეზღვაურის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	60	რუსული	10	ბათუმი, ანგისის დასახლება, შ. ხიმშიაშვილის ქუჩა №47-ის

			111052				მიმდებარე ტერიტორია

2. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 19 აპრილის №05 სხდომის ოქმის მე-13 ნაწილი ცნობილ იქნეს ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.

3. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება კანონით დადგენილი წესით, შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის ქ.№1 ან ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6.

თავმჯდომარე
დავით აფრასიძე

მდივანი
მაკა გველესიანი